პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 აგვისტო 21 აგვისტო № 195 (16935) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე ჩვენს ქვეყანაში ხამაშულო ავიაციის მიღწევების, ჩვენი მფრინავების, შტურმანების, ხავიაციო მრეწველობის ინჟინრებისა და მუშების წარმატებათა ნამდვილი საერთო-სახალხო დათვალიერებაა.

საჭართველოს ავიატორები, რომელნიც ნამუშევარ არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ღირსეული შრომითი წარმატებებით ხვდებიან სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

ხაჩარაშვილი: ხამოქალაქო ავიაციის საქართველოს ხამმართველოს მოწინავე ავიატორები: ხომალდის მეთაური ნ. როსტოკოლია, შტურმანი ა. მღებროვი, ხომალდის მეთაური უ. ღამბაროვი, შტურმანი გ. ახალბოდაშვილი.

გ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ამ მეგობრული შეხვედრების შედეგები, რომლებიც ამა წლის ივლის-აგვისტოში ჰქონდათ ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევსა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. კადარს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, დიდი სახალხო პურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მთლიანად იწონებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამართული საუბრებს და მიაჩნია, რომ ყირიმის შეხვედრების შედეგები დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლოა ხალხთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხთა სახელმწიფოს და მომავალ პარტიებისა და ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, საერთაშორისო ახპარეზზე მათი მოქმედების კოორდინაციისათვის.

სკკპ XXV ყრილობისა და ბულგარეთის კომპარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომპარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის უკანასკნელი ყრილობების მიერ დასახული პროგრამების რეალიზაციის შესახებ ინფორმაციის გაზიარებამ ცხადყო, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებიც მჭიდროდ თანამოქმედებენ სოციალისტური და კომუნისტური შშენებლობის გეგმების განხორციელებაში, წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ აღმშენებლობის ამოცანებს, ზრდიან თავიანთ ეკონომიკურ პოტენციალს, ხრულყოფენ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, აუმჯობესებენ შრომელთა კეთილდღეობას და ამაღლებენ მათს კულტურულ დონეს. მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და შეკავშირება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდ მადლობას მოახსენებს მოძმე პარტიების ხელმძღვანელებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის, ამ კანონის მაღალი შეფასებისათვის, რომელიც ამკვიდრებს სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ფაქტს, ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, რომელსაც მოძმე ქვეყნების კომუნისტები, შრომელები იჩენენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. თავის მხრივ, საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ამხანაგური დაინტერესებით ადევნებენ თვალს მოძმე ქვეყნების ხალხთა შემოქმედებითს მეცადინეობას განვითარებული სოციალიზმის შშენებლობაში, მხურვალედ მიესალმებიან მათს წარმატებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი პოლიტბიურო უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ყირიმში მიღწეულ მორიგებებს მოძმე ქვეყნებთან სსრ კავშირის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, პარტიებისა და ხალხმეწიფოების ურთიერთობის გაღრმავების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზთ თანამშრომლობის, კულტურული გაცვლის შემდგომი განვითარების საკითხებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მორიგებებს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამებთან მჭიდრო კავშირით შეიმუშაონ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორმხრივი პერსპექტიული გეგმები.

ყირიმის შეხვედრების დროს ბევრ სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემაზე გამართულმა აზრთა გაზიარებამ დაადასტურა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხმეწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით იმოქმედონ ამ საერთო მიზნების მისაღწევად ბრძოლაში, რომლებიც შეეხებიან როგორც თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ისე სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების საერთო ინტერნაციონალურ ინტერესებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს საუბრებში გამოთქმული იმ დასკვნის დიდ მნიშვნელობას, რომ იმპერიალიზმის რეაქციული ძალების ცდების მიუხედავად, რომლებიც ახრწავენ დაარკოლონ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ხიფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის პროცესი კვლავ გრძელდება. ამას მოწმობს, კერძოდ, ბელგრადის თათბირის მონაწილე ხახელმწიფოთა წარმომადგენლების ბელგრადის შეხვედრის წარმატებული ხამუშაო.

ამასთანავე, მტკიცედ უნდა ითქმედონ მთელმა პროგრესულმა და მშვიდობისმოყვარე ძალებმა, რათა არ დაუშვან გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის დაწყება, დაიწინაურონ განიარაღების საქმე. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ყირიმის შეხვედრებზე კვლავ დადასტურდა სოციალისტური ქვეყნების საერთო ხაზი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება და გავრცელება ყველა კონტინენტზე. ახლანდელ ვითარებაში მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას იდეები და კონკრეტული წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ხახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1976 წლის ნოემბრის ბუქარესტის თათბირის დეკლარაცია.

საუბრების დროს აღინიშნა სოციალისტური ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარების, პარტიებისა და ხახელმწიფოების ურთიერთობის გაღრმავების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზთ თანამშრომლობის, კულტურული გაცვლის შემდგომი განვითარების საკითხებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მორიგებებს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამებთან მჭიდრო კავშირით შეიმუშაონ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორმხრივი პერსპექტიული გეგმები.

ყირიმის შეხვედრების დროს ბევრ სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემაზე გამართულმა აზრთა გაზიარებამ დაადასტურა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ხახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით იმოქმედონ ამ საერთო მიზნების მისაღწევად ბრძოლაში, რომლებიც შეეხებიან როგორც თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ისე სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების საერთო ინტერნაციონალურ ინტერესებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს საუბრებში გამოთქმული იმ დასკვნის დიდ მნიშვნელობას, რომ იმპერიალიზმის რეაქციული ძალების ცდების მიუხედავად, რომლებიც ახრწავენ დაარკოლონ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ხიფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის პროცესი კვლავ გრძელდება. ამას მოწმობს, კერძოდ, ბელგრადის თათბირის მონაწილე ხახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ფართოდ აზიარებენ ბრძოლის ხალხთა მეგობრობა და შეკავშირება.

ხაჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად

19 აგვისტოს ხაბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა დიდდაქალაქის შრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ა. ბორისოვმა. შეკრებილთა წინაშე სტატეა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა, ავიაციის მთავარმა მარშალმა პ. ს. კუტახოვმა.

ავიატორებს მიესალმნენ სამოქალაქო ავიაციის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კ. გულკოვი, საავიაციო მრეწველობის მინისტრის მოადგილე მ. ს. მიხაილოვი, მოსკოვის ელექტროგაკუუმურ ხელსაწყოთა ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ნ. დიაკოვი, მსოფლიო ჩემპიონი უმაღლეს პილოტაჟში ლ. ს. ლეონოვი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. ყიტენოვი.

კრების მონაწილეებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო!

ჩრდილოეთ პოლუსზე ყინულმჭრელ „არქტიკის“ წარმატებულ ლაშქრობასთან დაკავშირებით თქვენი მისალმების გულთბილი, მამამავილური სიტყვები ღრმად ჩაწყდა გულში ატომმავალს ეკიპაჟსა და მაღალგანედუფი სამეცნიერო-პრაქტიკული ექსპედიციის მთელ შემადგენლობას.

მოვახსენებთ რა შვილურ მადლობას შშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის, ჩვენ, ლეონიდ ილიას ძეო, კარგად გვესმის, რომ ყოველივე, რასაც მივაღწიეთ, შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტია და მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ მეცნიერების, ტექნიკის აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების — შრომელების, თავიანთი სამშობლოს პატრიოტების, ინტერნაციონალისტების აღზრდისათვის. ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ მიაღწევს მძიმე ყინულებს და მიემართება თავისი გაწერის ნავსადგურში — მურმანსკში. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ჩვენ კვლავ გავალთ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასაზე — ჩვენს ეროვნულ სატრანსპორტო მაგისტრალზე სახალხო-სამეურნეოტვრთთიანი გემების გასაყვანად.

აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ავამაღლოთ ატომური გოლიათის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა და პარტიის გეგმების შესაბამისად ავითვისოთ უკიდურესი ჩრდილოეთის სიმდიდრენი, ყოველნაირად გავახარეთ ნავიგაცია ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასაზე, დაუფრო მაღალ განედებში, უზრუნველყოთ სატრანსპორტო გემების უსაფრთხო ნაოსნობა, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა კვლავაც გავახაროთ ჩვენი სამშობლო ახალი შრომითი მიღწევებით მისი შემდგომი ძლიერებისა და აყვავებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს.

ჯიკიპაძის დაკალთით ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“
კაპიტანი ი. კუზნეცევი,
კაპიტნის 1-ლი თანაშემწე ვ. ლაზარევი,
გემკომის თავმჯდომარე ი. პილიავეცი.

ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო ირკუტსკში

ირკუტსკი, 20 აგვისტო. (საუდესის კორ.). დღეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო, რომელიც აქ იმყოფება, შეხვდა ირკუტსკის ოლქის ხელმძღვანელებს.

ამავე დღეს სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა სადილი გამართეს ი. ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

500.000 ტონა ყურძნისათვის!

კახეთისა და ქართლის რაიონების ზონალურ თათბირზე

დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის ერთეული სულ მალე მთელი ძალით გაჩაღდება, ზოგან შერჩევით ყურძნის კრეფა დაიწყო. დადგა მევენახეობაში ყველაზე პასუხსაგები პერიოდი. ყურძნის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ აღება და მისი შეუფერხებლად გადამუშავება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ერთელს ორგანიზებულად ჩატარების სადღესასწაულო საკითხების განხილვას მიძღვნა კახეთისა და ქართლის რაიონების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 19 აგვისტოს ქ. საგარეჯოში გაიმართა. თათბირზე შეკრებილნენ პარტიის რაიკომების მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, დიდი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები, „სამტრესტის“ ქარხნების სამმართველოთა უფროსები „საქსოფლტექნიკისა“ და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

ამის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან რთველისათვის, ინფორმაციები გაკეთეს პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მ. მეზვრიშვილმა, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ეცოდაშვილმა, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. გოქსაძემ, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბატიაშვილმა, პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარისაშვილმა, პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ურჯუმელაშვილმა, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მემარნეშვილმა, პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კოზმანიშვილმა, პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გამრეკელმა, პარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვალიაშვილმა, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა, პარტიის გარდაბნის, თელავის, სიღნაღის, ქარელის, ხაშურის, ლაგოდეხის რაიკომების მდივნებმა ა. შანშიაშვილმა, თ. ხუციშვილმა, მ. ხუნაშვილმა, ო. კილასონიამ, შ. ჯიბუტამ და ბ. ლომიძემ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ჭითაიშვილმა, კვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ, „სამტრესტის“ მმართველმა ა. მელუამ, მევენახეობა-მეხილეობის მეურნეობების ტრესტის მმართველმა გ. ზაუტაშვილმა, გიორგიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. თევდორაშვილმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. ჯ. პატიაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ წლეულს უამინდობასთან ბრძოლაში ყურძნის კარგი მოსავალი მოიწეს. მევენახეობის რაიონებს მშრომელთა სადღესასწაულო ამოცანა უდანაკარგოდ დაამთავრონ რთველი, პირნათლად შეასრულონ ყურძნის დამზადების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება. მიღებულია ღონისძიებები, რომ რთველი შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდეს, შეუფერხებლად მოხდეს ყურძნის გადაზიდვა და გადამუშავება, ყველგან შედგენილია ყურძნის კრეფისა და გადამუშავების გრაფიკები. წელს ფართოდ დაინერგება მატერიალური და მორალური წახალისების სტიმულები.

თათბირზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ტრანსპორტის, ყურძნის გადასაზიდ ქარებსა, შრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ოქტომბრის საიუბილეო წელს რესპუბლიკის მევენახეებმა ხამშობლოს მისცენ 500.000 ტონა ყურძენი. მარტო კახეთის რაიონები 300.000 ტონა ყურძენს მიმყიდიან ხახელმწიფოს.

ვ. გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეგობრობის მოედანზე

მოსკოვი ელის საქართველოს წარგზავნილთ

23 აგვისტოს სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეგობრობის მოედანზე სსრ კავშირის ხახელმწიფო ალმისა და მოკავშირე რესპუბლიკების ალისფერი დროშების გვერდით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხახელმწიფო ალმი აღიმართება.

მშრომელი საქართველო მომზე აზერბაიჯანისაგან იღებს ესტაფეტას. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს იგი ხაბჭოთა კავშირის დედაქალაქს უპატაჟებს ხახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულ დიდ მიღწევებს.

ხაბჭოთა საქართველოს საიუბილეო ექსპოზიცია ფართოდ გააცნობს მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს ყოველივე იმას, რითაც ამაყობს დღეს ჩვენი რესპუბლიკა. ყოველი მისი ექსპონატი გაიცოცხლებს საქართველოს წარსულსა და აწმყოს, რომელშიც დიდ რუს ხალხთან და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებთან თანამეგობრობით უმაგალითო წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

„მოსკოვი, კრემლი — ლენინს, სტალინს. თბილისზე ფრიალეს ხაბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს ხაბჭოთა საქართველოს!“. ამ დებეშით ს. ორჯონიკიძემ მოსკოვს აუწყა, რომ საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. 1921 წლის 25 თებერვალი — ამ დროიდან მოდის ახალი, სოციალისტური საქართველოს წელთაღრიცხვა.

საიუბილეო გამოფენის დამთვალიერებლებს ნაირფერ მეგზურებად ექნებათ დიაგრამები, სტენდები, ფოტოსურათები, ყოველი ექსპონატი. ისინი დამთვალიერებლს უამბობენ, თუ როგორ გადაქცა მიფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილი განაპირა მხარე განვითარებული ინდუსტრიის, მეჩაიეობის, მეკენახეობის, მეციტრუსეობის, მემარცვლეობის მადლიან მხარედ. ახლა ხომ ჩვენი რესპუბლიკა მთელ საბჭოეთში წარმოებული ჩაის 95 პროცენტზე მეტს ამზადებს.

ყველა ექსპონატში იგრძნობა სოციალისტური საქართველოს აღმშენებლობითი რიტმი, ის ენთუზიაზმი, რომლითაც შრომობს ქართველი ხალხი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ის უდიდესი აღმავლობა, რომლითაც მიმდინარეობს დღეს რესპუბლიკაში ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებში მონაწილეობისათვის მოსკოვს მიემგზავრება მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან მოწინავე მუშები, სოფლის მეურნეობის შშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. გამოფენაზე მოეწყობა მეცნიერთა, შრომრების ნოვატორთა, საქართველოს ხახალხო მეურნეობის სპეციალისტთა გამოსვლები, პროფესიული და მხატვრული თვითმქმედების კოლექტივების შემოქმედებითი ანგარიშები. დასახულია მოეწყოს აგრეთვე რესპუბლიკის შშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრები მოსკოვის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიონების საწარმოთა ყოლექტივებთან.

მზიური საქართველოს წარმომადგენლები შეხვდებიან მოსკოვის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „სმენის“, ბაბუშკინის რაიონის ბეწვეულის კომბინატის, დედაქალაქის მეტროპოლიტენის კოლექტივებს.

მოსკოველთა წინაშე გამოვლენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ციცაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს სახელოვანი მრავალფროვანი მუშათა კლასისა და შშრომელი გლეხობის წარმომადგენლები. ისინი მოსკოველებს უამბობენ იმ ძირეული გარდაქმნების შესახებ, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მოხდა ოქტომბრის ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის დიადი თანამეგობრობის მეოხებით.

კინოთეატრებში „თბილისში“, „არქტიკაში“, „ფოროუშში“, სადაც ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების სადღესასწაულო ფესტივალი გაიმართება, მოეწყობა საქართველოს სანფორმაციო საგენტოს მიერ მომზადებული ფოტოგამოფენები.

ფესტივალი ხაზეიმოდ გაიხსნება 23 აგვისტოს. მოსკოველები ნახავენ ქართველ კინოხელოვანთა საუკეთესო ნამუშევრებს: „ნატვრის ხეს“, „ნერგებს“, „ქვეშანი დარჩებიანნ...“, „იყო შაშვი მგალობელი“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ და სხვ. დაგეგმილია აგრეთვე შეხვედრა ქართველ კინომოღვაწეთა შემოქმედებითს ჯგუფთან.

გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყობა ქართული წიგნისა და სუვენირების გაყიდვა. რესტორან „ზოლოტოი კოლოსში“ მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები გასინჯავენ ქართულ ეროვნულ კერძებს, რომლებსაც საუკეთესო კულინარები დამზადებენ.

საბჭოთა კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს დღეების პროგრამა მდიდარი და საინტერესოა. საქართველოს დელეგაცია ეწვევა ვ. ი. ლენინის, ამ ადამიანის სახლ-მუზეუმს გორკში, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს აუვავება და წარმატება.

გამოფენაზე საქართველოს სსრ დღეები დამთავრდება 26 აგვისტოს რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა დიდი სადღესასწაულო კონცერტით, ჰ. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შესრულდება ქართველი კომპოზიტორების მუსიკა — ერთგვარი საგალობელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა, დიდი ლენინის პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობითაც აშენებს ჩვენი რესპუბლიკა ყველა მომზე საბჭოთა რესპუბლიკის თანაბარკეთილდღეობაში კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

მაშ ასე, მოსკოვი ქართველ სტუმრებს მოელის. საბჭოთა კავშირის დედაქალაქს ისაერთხელ უმასპინძლია საქართველოს წარგზავნილთათვის. მაგრამ ახლანდელი შეხვედრა განსაკუთრებულია. კალენდარზე ხომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელია. სწორედ ეს ანიჭებს სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს დღეებს ზემოურ განწყობილებას. (საქინფორმი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის

ეძღვნება საბჭოთა საქართველოს

საქართველოს შშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ შესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს. ისინი ფართოდ აჩაღებენ ბრძოლას საუბილეო წლის მაღალ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის.

შრომითი აღმავლობის ახალი მოზღვავება გამოიწვია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ და საყოველთაო-სახალხო განხილვამ.

ამ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ, რომლის ვითარებაშიც მიმდინარეობს რესპუბლიკაში სახელოვანი ოუბილეს სამზადისი, უამბობს ტელეფაყურებელთა მრავალმილიონიან აუდიტორიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას, რომელიც 24 აგვისტოს მოეწყობა 20 საათზე.

ამხ. ე. შევარდნაძის გამოსვლით დაიწყება ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მიეძღვნება.

შემდეგ ეკრანი დაეთმობა ფერად სატელევიზიო ნარკვევს „საქართველოს სსრ“, რომელიც დამაჯერებლად ასახავს საბჭოთა საქართველოს მიღწევებს, ამ გარდაქმნებს, რესპუბლიკის შშრომელთა ცხოვრებაში რომ მოხდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

სატელევიზიო ნარკვევში ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელობაა ნაჩვენები. 2-საათიანი სატელევიზიო პროგრამის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა საქართველოს ხელოვნების ოსტატებისა და მხატვრული თვითმქმედების კოლექტივებს გამოსვლას.

ხახელოვანი თუბილეს ნამზადის ეძღვნება აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. გოლაშვილის გამოსვლა ხაკავშირო რადიოთი, რომელიც ამავე დღეს გაიმართება 19 საათსა და 40 წუთზე.

მანამდე, საქართველოსადმი მიძღვნილ საკავშირო რადიოს პროგრამაში 7 საათსა და 30 წუთზე მოვისმენთ რადიოჟურნალს „მიწა და ადამიანები“. ეს იქნება ნაამბობი ჩვენი რესპუბლიკის ხოფლის შშრომელთა ხახელოვანი ნაშემების შესახებ. გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ ინგირის ჩაის ხაბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. შეუნარგია და მოწინავე ჯაბეგელი მეცხვარე გ. სეთურიძე.

რადიოჟურნალის ერთ-ერთი ნარკვევი მოგვითხრობს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის შშრომელთა წარმატებებსა და მათს მეგობრობაზე გამოჩენილ საბჭოთა მწერალთან მიხეილ შოლოხოვთან. მიკროფონთან გამოვა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე. ამავე რადიოგადაცემაში გაუცხობთან შპმენელები სვანეთის მაღალი მთის სოფლის უშგულის ცხოვრებას.

საქართველოს, მის მომავალ თაობას, რესპუბლიკის პიონერიზა მჩქეფარე ცხოვრებას ეძღვნება რადიოგაზეთ „პიონერული დაფიონის“ გამოშვება, რომელსაც 8 საათსა და 40 წუთზე მოვისმენთ.

საინტერესო იქნება გადაცემა „დრო, მოვლენები, ადამიანები“. ეს არის რეპორტაჟი რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან. რუსთაველ მეტალურგთა შრომითი წარმატებების შესახებ გვიამბობს ნოვატორი მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ო. ლომიძე. თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეტერანის ა. არეშიძის შრომითს მუშურ დინასტიას უძღვნის ნარკვევს რადიო.

გადაცემაში მოგვითხრობენ აკრეთვე გაგრის საკურორტო კომპლექსის შესახებ.

რადიომსმენელები გაეცნობიან ინჟინერ თამარ ჯაფარიძეს, რომელიც ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაზე გვიამბობს. ეს გადაცემა 12 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

13 საათსა და 15 წუთზე ეთერში აეყრდება კონცერტი „მათთვის, ვისაც შესვენების საათი აქვს“. კონცერტის პროგრამა საქართველოს სამრეწველო საწარმოთა შშრომელებმა შეადგინეს მომზე რესპუბლიკელი მეგობრებისათვის.

რადიოჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ ნახვეიასაათიანი გამოშვება, რომელიც 15 საათზე დაიწყება, გააშუქებს ქართველ მეცნიერთა წარმატებებს, წელილს, რომელიც მათ შეაქვთ მეცნიერების მიღწევათა სახალხო მეურნეობაში დანერგვის საქმეში. გადაცემა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს დ. ლომინა

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ინფორმაცია

თითოეული დღე — დამკვრელური

აბ დეკემბერ მუშაობენ მუხურელი კოლმეურნეები, „ჩვენი ბრიგადის წევრები. ამის შედეგია, რომ შესრულდა ჩაის კრეფის წლიური დადგენილება, კარგი პირი უჩანს სიმინდის მოსავალსაც.

კოლმეურნეებმა გულდასმით შეისწავლეს კონსტიტუციის პროექტის თითოეული მუხლი. ჩვენი ცხოვრების კანონი დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანისათვის შრომის პირობების შექმნას, მის გაუმჯობესებას ტექნიკის ზრდით და ავტომატიზაციით, ხელის მძიმე შრომის გამორიცხვას.

მუხურელი მშრომელები, როგორც ყოველთვის, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს.

გ. ჩალიგავა,
მეხიმინდე,
ნ.ხორიოწყუ, მუხური.

საჭიროდ მიმაჩნია

კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზანდასახულობანი მოითხოვს ტექნიკის პროგრესს, და იგი ვითარდება კიდეც. დღის წესრიგში დგება ტექნიკური კადრების მაქსიმალური ოდენობით აღზრდის საკითხი. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გათვალისწინებულ იქნეს ძირითად კანონში პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღების აუცილებლობა, ე. ი. სავალდებულო საშუალო განათლება მტკიცედ დაუკავშირდეს ერთ-ერთ სპეციალობას, რომელსაც ესა თუ ის მოსწავლე სკოლაში სწავლის პერიოდში ირჩევს.

აქედან გამომდინარეობს ლიდი პასუხსაგები ამოცანებიც, სკოლების წინაშე რომ აღის დასმული. მათ უნდა დაეგალოთ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეთ მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ძირფესვიანი გაუმჯობესების საქმეს.

მ. ნადარეიშვილი,
აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს საშუალო სკოლის დირექტორი.

სასურველია დაემატოს

კონსტიტუციის პროექტი ყველამ მოიწონა. მაგრამ განხილვის პერიოდში ზოგიერთი მოსაზრება იბადება.

61-ე მუხლში ლაპარაკია სოციალისტური საკუთრების დაცვაზე, რაც თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. ამ მუხლის მეორე აბზაცი გვეუბნება: „სოციალისტური საკუთრების ხელმყოფი პირები ისჯებიან კანონის შესაბამისად“. ჩემი აზრით, სასურველია მას ბოლოში დემატოს: „წაყრუებაც დანაშაულად ითვლება და ამაში მხილებული მოქალაქე პასუხს აგებს,“

ნ. ხელაია,
გეგეჭკორის რაიონის სოფელ ინჩხურის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

წინადადებები

სამშობლო — ჩირაღდანი

სხვა სიახლეებთან ერთად სავსებით სწორია და დროულია კონსტიტუციის პროექტში ახალი თავი „სოციალისტური სამშობლოს დაცვა“, რომელიც ორი მუხლისაგან შედგება.

ჩემი აზრით, პროექტში უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის შედეგები არის გაკვეთილი ყველა აგრესორისათვის, რომელიც კი მოესურვებს ხელყოს ჩვენი თავისუფლება. იგი აგრეთვე ჰკუის სასწავლებელია იმათთვის, ვინც ცდილობს „ცივი ომის“ დღეების დაბრუნებას.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, პროექტის შესაფალი ნაწილის მესამე აბზაცი პირველი წინადადების შემდეგ ასეთი იყოს: „ამ გამარჯვებამ განამტკიცა სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციები, მკაცრი გაკვეთილი მისცა ყველა აგრესორს, რომელიც კი ოდესმე მოიხურავებს ჩვენი თავისუფლების ხელყოფას, „ცივი ომის“ დღეების დაბრუნებას“ — შემდეგ როგორც ტექსტშია.

პ. სურმავა,
რკინიგზელი. ცხაკაია.

ვალდებული არიან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის 43-ე მუხლში, რომელიც იწყება ასე: „სსრ კავშირის მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, აგრეთვე შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება...“ ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ამას დაემატოს „მოხუცებულობის, ავადმყოფობის, აგრეთვე შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის მომენტისათვის **აუცილებლად** უნდა ჰქონდეთ დებულებით გათვალისწინებული ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი“. ეს დამატება უეცილებლად იმიტომ მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით, მართალია, ყველა საბჭოთა მოქალაქეს უფლება აქვს სიბერეში ან შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ არსებული კანონმდებლობით, თუ ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი არ გააჩნიათ, პენსია არ ენიშნებათ.

თ. დუმბაძე,
ქ. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

18 წელი, 20 თუ 23 წელი?

ქრ ვეთანხმები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტი წარმოადგენს უდიდეს პოლიტიკურ დოკუმენტს, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელება დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ, მოიწონეს და აქტიურად ჩაებნენ მის განხილვაში.

კონსტიტუციის პროექტის მე-13 თავის 95-ე მუხლში ვკითხულობთ: „დეპუტატი არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად“.

ჩემი რწმენით, 18 წლის მოქალაქეს ჯერ კიდევ არა აქვს ცხოვრების საკმარო გამოცდილება, ამდენი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები, რომ, როგორც დეპუტატმა, შესარულოს დაკისრებული მოვალეობა. დეპუტატი ხალხის რჩეულია და იგი კარგი ავტორიტეტითაც უნდა სარგებლობდეს.

ამ მუხლის შესახებ, თითქმის ასეთივე მოტივით 30 ივლისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სამამულო ომის ვეტერანის ბ. ქადაგიძეშილის შენიშვნა, რომ „...სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეული იქნეს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც 23 წელი შეუსრულდა...“

მე კი ვფიქრობ, რომ 20 წლის ახალგაზრდას, რომელიც უკვე ნაბეჭდილია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ან სწავლობს, შეუძლია თავი გამოიჩინოს შრომის ან სწავლის სარბიელზე. ამიტომ შესაძლებლად მიმაჩნია ამ ასაკში იგი არჩეულ იქნას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ამიტომ ჩემი წინადადებაა — აღნიშნულ მუხლში შეტანილი იქნეს ასეთი ცვლილება: „...**სსრ კავშირის მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს იყოს არჩეული**“... დანარჩენი როგორც ტექსტშია, ე. ი. 18 წელი შეიცვალოს 20 წლით.

ვ. მთვრალაშვილი,
პენსიონერი, შრომის ვეტერანი.

ფ. ე. ძერჟინსკის 100 წლისთავისათვის

რევოლუციის ერთგული ბიბლიოთეკა ხსოვნას

11 სექტემბერს დაბადების 100 წელი უსრულდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი ლენინის ერთგულ მოწაფესა და უახლოეს თანამებრძოლს, მგზნებარე ინტერნაციონალისტს, კომუნიზმისათვის მებრძოლს ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის.

ყოფილთა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის მომწყობი საიუბილეო კომისიის სხდომა.

საქართველოს მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ რევოლუციის უშიშარი რაინდის დაბადების 100 წლისთავს. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში ეწყობა ლექციები და საუბრები რუსეთისა და პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილის ფ. ე. ძერჟინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ბიბლიოთეკა ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა — ექსპოზიცია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. კ. მარქსის სახელობის ცენტრალურ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ბიბლიოთეკაში, ერკაკაკასიის რკინიგზის საშმართველოში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში ეწყობა დოკუმენტური მასალებისა და მხატვრული ნაწარმოებების თემატიკური გამოფენა.

გაიმართება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საშეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირები, საზოგადოებრივიობის წარმომადგენლები. იგი მიეძღვნება ფ. ე. ძერჟინსკის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას. მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში მოეწყობა საზეიმო კრებები. საფუძველი ჩაეყრება ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლს. გამოცხადდება ძეგლის საუკეთესო პროექტის კონკურსი. თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას მიენიჭება ფ. ე. ძერჟინსკის სახელი. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და რუსთავში გაიმართება დოკუმენტური, მხატვრული და სატელევიზიო ფილმების ფესტივალი, რომლებიც მიეძღვნება ფ. ე. ძერჟინსკის, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობას.

1 სექტემბრიდან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მილიციის ბავშვთა ოთახებში გაიმართება „ნორჩ ძერჟინსკელთა“ და „მილიციის ნორჩ მეგობართა“ რაზმების თემატიკური საღამოები და შეკრება-ბაზრები. გამოსაშვებად მზადდება წიგნი „ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი“. (საინფორმო).

20 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

„საცხოვრებელი ბინა სახოგადოებრივი საკუთრებაა“ — ასე ჰქვია მოწინავე წერილს. საცხოვრებელ ბინაზე მოქალაქის უფლება სოციალისტური სინანდვილის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მკაფიოდ აისახა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში. ამ უფლების განსახორციელებლად სახელმწიფო ზრუნავს საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, აგრეთვე მათი სწორი ექსპლოატაციისათვის.

ყველაფერი, რაც მშრომელთა ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, წერს „ზეიმი, პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრშია. ისინი ვალდებულნი არიან გაერთიანონ ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ძალები, მკაცრად მოპკონონ იმათ, ვინც არ ზრუნავს კომუნალური სამსახურებისა ბინა სრულყოფისათვის, მოსახლეობის ინტერესებისათვის. უნდა მივაღწიოთ, რომ საცხოვრებელი ბინების ექსპლოატაცია და რემონტი წარმოებულ **იგემოვნად**, მაღალხარისხოვნად, ეფექტიანად ვიყენებდეთ ხაჯანოსდ გამოყოფილ სახსრებს.

ხშირად ხდება, ხოლმე, რომ გაზეთის კრიტიკულ გამოსვლაზე რედაქციაში ლეტს ბიუროკრატიული, ფორმალური, ფეხუმა დაბარებებითა ნიკესე პასუხებს. სამწუხაროდ, ასეთი პასუხები ზოგჯერ პარტიული კომიტეტებიდანაც მოდის. სწორედ ამ მანკიერებაზე მსჯელობს „პრავდის“ კორესპონდენტი **შ. ოდანეცი** წერილში „**რედაქცია ელოდება...**“ (მეორე გვერდი).

ამავე გვერდზე დაბეჭდილია სტატია „**და აზრი უნდა მუშაობდეს**“ (რუბრიკა — **აგვისტოს პედსაბჭოზე**), სადაც ლაპარაკია ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად სწავლების მეთოდების სრულყოფაზე. სტატიის ავტორია სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ლ. ზანკოვი.**

მრავალფეროვანია თემატური გვერდი „**ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი**“, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას ეძღვნება.

მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის **ვ. ჩერტკოვის** რეპორტაჟს **ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“** ბორტიდან — „**ახდა!**“ (მეექვსე გვერდი).

საერთაშორისო ცხოვრების უახლესი მოვლენებია გაშუქებული გაზეთის მეოთხე-მეხუთე გვერდებზე.

ПРАВДА

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაძლაჭრით აღვკვეთოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა „1977 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ხანძრებისა და დატაცებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სხვა სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ამოცანები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. კოლესნიკმა.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **გ. გვეტაძემ.**

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ვ. ყანაბაშვილი,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ა. კვახაძე, „საქსოფლტექნიკის“** რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მ. თევდორაშვილი,** საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრი **რ. კონცელაძე,** საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის მდივანი **ვ. ეგოიანი,** საქართველოს კომპარტიის ონჩხეოიძის რაიკომის მდივანი **გ. ზარიქაძე,** გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რ. ნასარიძე,** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ა. პარასტაევი,** „საქცხოველმრეწვის“ რესპუბლიკური მეცხოველეობის გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე **კ. ოსეფიანი.**

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები, მევენახეები, მეციხოველეები, მელიორატორები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სხვა მშრომელები წარმატებით ასრულებენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. უმგალითო შრომითი აღმავლობის შედეგად დღითიდღე ეზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაკადი, რომელიც საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან გადასამუშავებელ საწარმოებსა და საცავებში იგზავნება. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხანძრებისა და დატაცებისაგან სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვის ორგანიზაციას.

შერჩევითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას. მოსავლის აღების პერიოდში სახალხო დოკლათის დაცვისათვის მუშაობაში დიდ ეფექტს მიაღწიეს კასპის, სამტრედიის, გარდაბნის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. და სხვ. პარტიის რაიკომებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა არა მარტო დასახეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგებთან ბრძოლის გზები, არამედ შეუდგნენ კიდევ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას მოსავლის პროდუქტების დანაკარგებისა და დატაცების აღსაკვეთად, სახანძრო უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

ამასთან თათბირზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ მეურნეობებში ჯერ კიდევ არის სოციალისტური ქონების დაცვა-შენახვის წესების დარღვევის ფაქტები, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და შენახვის, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში თანამოვაბობის პირთა დაოჯახებისა და უდარდელობის შემთხვევები, ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას საკონტროლო და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ითქვა თათბირზე, სერიოზულად აშფოთებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცების შემთხვევები მოსავლის აღებისა და გადამუშავების დროს. დატაცების ფაქტები გამოვლინდა გორის ხორკლმბენტში, გეგეჭკორის რაიონის ბანძის ჩაის ფაბრიკაში, „თბილხლიბოსტანეკურორის“ ნავთლუღის საველური ბაზის საწყობში და სხვ.

გაანალიზეს რა ეს ფაქტები, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო და ადმინისტრაციულმა ორგანომ, პიროველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველეყო სოციალისტური ქონების დაცვა-შენახვა, როგორც ამას მოითხოვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებანი.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს პარტიის რაიკომებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ზონინი იმ კონკრეტულ ქმედით ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმატებებისა და თვალის ახვევის ლაკიდაციასთან და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებასთან. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ახალციხის, გორის, მარნეულის, ჭალწილისა და ხაშურის რაიონების მუშაკებს.

